



პოლიტიკური პარტიების ამოცანები



პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA – რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.



თქვენი ამოცანები

I მოდული



1. გაეცანით თქვენი პარტიის აღწერას - მნიშვნელოვანია რომ თითოეულ ადამიანს ესმოდეს პარტიის ძირითადი პროგრამული დებულებანი. თუკი რამეში ვერ გაერკვევით - შეეკითხეთ პიროვნებას რომელიც წამყვანის როლშია.



თუკი ამ ტექსტში ჩახედვამდე ეს არ გაგიკეთებიათ - გააკეთეთ ახლა, გამოიგონეთ თქვენი როგორც კავკასიელის მოქალაქეების ახალი ბიოგრაფიები. ვინ გინდათ რომ იყოს ახალ სახელმწიფოში? ექიმი, ფეხსაცმლის დიზაინერი თუ თავისუფალი სულის ადამიანი რომელიც თავის მიწის ნაკვეთში მუშაობს? შეადგინეთ თქვენი თავის მოკლე აღწერა - რა განათლება გაქვთ, რა ასაკში ხართ, გყავთ თუ არა ოჯახი? მთელი დღის განმავლობაში თქვენ ამ ახალი პიროვნებების როლებში იქნებით. გახსოვდეთ რომ თქვენი პიროვნებები შესაბამისობაში უნდა იყოს იმ პარტიების აღწერებთან რომელთაც თქვენ განეკუთვნებით.



2. აირჩიეთ თქვენს შორის ლიდერი და პრეს-სპიკერი. გახსოვდეთ რომ დასაწყისში ინსტრუქცია და აღწერა მთლიანად უნდა წაიკითხოთ და ამავე დროს ჯგუფის წევრებმა ერთმანეთი კარგად უნდა გაიცნოთ. პარტიაში ფუნქციების შესრულება ნებაყოფლობითია - ნურავის დააძალებთ ლიდერობას. ეძებთ თქვენს შორის ისეთი წევრები რომელთაც სურთ რომელიღაც როლებში საკუთარი თავის გამოცდა, თავს ამ სიტუაციაში კარგად გრძნობენ და ამა თუ იმ როლის შესრულება ნამდვილ სიამოვნებას ანიჭებთ.



ლიდერი - პარტიაში მთავარი ფიგურაა - ის აყალიბებს პოლიტიკურ პროგრამას და წარმოადგენს პარტიას დებატების დროს რაც ამ სიმულაციის უკანასკნელი ეტაპი იქნება.



პრეს-სპიკერი – განსაკუთრებით ზრუნავს პოლიტიკური პროგრამის რედაქტირებასა და მის შინაარსზე. იგი ლიდერთან და პარტიის სხვა წევრებთან ახლო კონტაქტში მუშაობს მედია-გამოსვლების თემაზე და აგრეთვე თვითონაც აძლევს მედიას ინტერვიუებს.

3. შექმენით პარტიის ლოგო რა დროსაც გამოიყენეთ პარტიის აღწერაში მოცემული სლოგანი და ფერი. ლოგო გამოიყენეთ ყველა საარჩევნო მასალაში, განსაკუთრებით კი პარტიის პროგრამაში. ეს ის მომენტია როდესაც შეგიძლიათ ერთობლივად ისაუბროთ იმაზე თუ რა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად ან ყველაზე მიმზიდველად თქვენს მიერ შექმნილ პროგრამაში.

4. საარჩევნო კოდექსის გამოქვეყნების შემდეგ დარეგისტრირეთ პარტია საარჩევნო კომისიაში! იმისათვის რომ ეს გააკეთოთ აუცილებელია ოფიციალური განაცხადის მომზადება A4 ფორმატის ქაღალდზე სადაც რეგისტრაციის შესახებ თხოვნა იქნება ფორმულირებული. განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგს:

- პარტიის სრული დასახელება;
- ლოგო;
- ლიდერის სახელი და გვარი, პრეს-სპიკერის სახელი და გვარი და აგრეთვე ერთი უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი (ეს დამატებითი ფიგურაა პარტიაში რომელიც მხოლოდ ამ დოკუმენტში იქნება მითითებული. იგი ძალზე სწრაფად უნდა აირჩიოთ!);
- უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა.


5. შესვენების წინ შეხვდით ყველა ჯგუფს და მოახდინეთ თქვენი შრომის შედეგების პრეზენტაცია - წარმოუდგინეთ მათ თქვენი ლიდერი და თქვენი ახალი გრაფიკული იდენტიფიკაცია. იქნებ უკვე გაქვთ პირველი მოსაზრებები თქვენი საარჩევნო პროგრამის შესახებ?



II მოდული



- 1.** დადგა დრო რომ შევიმუშაოთ საარჩევნო პროგრამა - ჩამოვაცალიბოთ თემებისა და სფეროების ჩამონათვალი რომლებითაც დაკავდებით არჩევნების მოგების შემდეგ. ამ ჩამონათვალში არსებული პუნქტები შემდეგ შეკითხვას უნდა პასუხობდნენ: როგორ უნდა გამოიყურებოდეს კავკასიური 1 წლის შემდეგ? პროგრამაში არ დაგავიწყდეთ ეკონომიკა (გადასახადები, სავაჭრო თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან), მოსახლეობის უღარიბესი ფენის მხარდაჭერა, ენერგეტიკა, კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები, სოფლის მეურნეობა, განათლება და კულტურა. დაფიქრდით უმთავრეს საკითხებზე რომლებზეც ისაუბრებთ მედიასთან ინტერვიუების დროს და დებატების მიმდინარეობისას. დაეყრდნით პარტიის აღწერას. იქ იპოვით იმ ძირითად შეხედულებებს რომლებიც თქვენს პოლიტიკურ ძალას ახასიათებს. თუმცაღა ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისია, დანარჩენი შეხედულებები შეგიძლიათ თქვენებურად შეავსოთ ან გააძლიეროთ მაგრამ უნდა გახსოვდეთ რომ ისინი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდნენ პარტიის ძირითად ხაზს.
- 2.** წარმოადგინეთ თქვენი პროგრამა წინასაარჩევნო მასალის ფორმით - პოსტულატების სია დიდ ფურცელზე, ჩანაწერი ფეისბუქ-გვერდზე (ლინკის მოწოდების შესახებ წამყვანს მიმართეთ), პლაკატი ან რადიოგადაცემა.
- 3.** ბოლომდე დაამუშავეთ თქვენი ლიდერის იმიჯი - შექმენით მისი ბიოგრაფია: ვინ არის პროფესიით? რა განათლება აქვს? სად მუშაობდა? ჰყავს თუ არა ოჯახი? რა კომპეტენციებს ფლობს? ლიდერი პრეს-სპიკერთან ერთად უნდა მოემზადოს დებატებისათვის - დებატების დროს თითოეულ ლიდერს ექნება 2-წუთიანი სიტყვით გამოსვლის საშუალება რათა თავისი პარტია წარადგინოს. მოემზადეთ ამ სიტყვით გამოსვლისათვის.



4. იზრუნეთ თქვენს საარჩევნო კამპანიაზე რომლის განხორციელებაზეც არა მხოლოდ ლიდერი არამედ პარტიის ყველა წევრია პასუხისმგებელი:

- მოამზადეთ პლაკატები / ფლაერები და სხვა წინასაარჩევნო მასალები რომლებითაც შეეცდებით რომ ამომრჩევლების ნდობა და მათი ხმები მოიპოვოთ. მასალები დატოვეთ აგიტაციისთვის განკუთვნილ ადგილებში. ყურადღება! არა მარტო მოუწოდეთ ამომრჩევლებს რომ თქვენს პოლიტიკურ ძალას მისცენ ხმა არამედ მოუწოდეთ რომ ზოგადად მიიღონ მონაწილეობა ხმის მიცემის პროცესში. დაარწმუნეთ კავკასიონის მოქალაქეები რომ თვით ხმის მიცემის უფლება - სამოქალაქო პრივილეგიაა რომლითაც აუცილებლად უნდა ისარგებლონ.
- გამოჩნდით ინტერნეტში - იქნებ სკოლის ფეისბუქ-გვერდი შეიძლება აღმოჩნდეს ამისთვის კარგი ადგილი?
- შეხვდით ჟურნალისტებს, მიეცით მათ ინტერვიუები და მოიპოვეთ მათი კეთილგანწყობა.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში შეგიძლიათ საჩივრები შეიტანოთ საარჩევნო კომისიაში თუკი შეამჩნევთ რომ საყოველთაოდ მიღებული საარჩევნო კოდექსი ირღვევა. მაგალითად: თუკი დაფიქსირდა ერთი პოლიტიკური ძალის სააგიტაციო მასალების განადგურება მეორე პოლიტიკური ძალის მიერ, თუკი დაფიქსირდა უკანონო მოლაპარაკებების ფაქტი მედია-საშუალებებსა და რომელიმე პარტიას შორის და ა. შ.

5. შესვენების წინ შეხვდით სხვა ჯგუფებს და წარუდგინეთ მათ თქვენი საარჩევნო პროგრამა. გახსოვდეთ რომ ყურადღებითა და პატივისცემით უნდა მოუსმინოთ სხვა პოლიტიკური პარტიების პრეზენტაციებს და საარჩევნო კომისიის შესაძლო განცხადებებს.



III მოდული



1. ეს ბოლო მომენტიცაა ლიდერების დებატების დაწყებამდე - საფინანსო შეხვედრამდე საკუთარ ლიდერთან ერთად გაიარეთ უმთავრესი პოსტულატები და სლოგანები. დებატების დროს თქვენი პარტიის სახელით მხოლოდ ერთ ადამიანს შეუძლია გამოსვლა. წარმატება უსურვეთ მას!

2. დებატების დროს ლიდერის გარდა ყველანი მსმენელი საზოგადოების როლში გამოდიან. უგულვემატკივრეთ თქვენს კანდიდატს მაგრამ ასევე პატივისცემით გაეცანით სხვა პარტიების მოსაზრებებს რომლებიც მათ გაგვასლენდის მომავალთან დაკავშირებით გააჩნიათ. გაითვალისწინეთ რომ დებატების დროს მედიის წარმომადგენლებმა კომენტარის გაკეთება შეიძლება გთხოვონ.

3. დებატების შემდგომ წინასაარჩევნო სიჩუმე ისადგურებს ანუ პერიოდი რომელშიც აკრძალულია პარტიებისა და ლიდერების მხარდასაჭერად აგიტირება. შეგიძლიათ მხოლოდ და მხოლოდ სხვებს მოუწოდოთ ხმის მიცემაში აქტიურად მონაწილეობისკენ ანუ ჩაატაროთ ხმის მიცემის მასტიმულირებელი მოქმედებები. დებატების შემდეგ საარჩევნო კომისიასთან ერთად დაალაგეთ დარბაზი და მოამზადეთ იგი ხმის მიცემის პროცესისათვის.

4. არჩევნების დროა! გახსოვდეთ რომ თითოეულ თქვენთაგანს მხოლოდ ერთი ხმა აქვს. აუცილებელი არაა ხმა თქვენს ლიდერს მისცეთ - თუკი სხვა პარტიამ დაგარწმუნათ თავის სიმართლეში გახსოვდეთ რომ ხმის მიცემა ფარულია და ვერავინ ჩაიხედავს თქვენს სარჩევნო ბიულეტენში.

5. არჩევნების შემდგომ ამომრჩევლებისათვის მადლობის გადახდა კარგ პრაქტიკას წარმოადგენს და იგი ამომრჩევლებისადმი პატივისცემაზე მიუთითებს. მოამზადეთ მოკლე სიტყვა რომელშიც თქვენს მხარდამჭერებს მადლობას გადაუხდით თქვენთვის მოცემული ხმებისათვის და კიდევ ერთხელ შეახსენებთ თქვენი პოლიტიკური ძალის უმთავრეს პოსტულატებს.